ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2013 წელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად (იხ.:www.tsu.ge/qa/statute.htm), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივცრეში" (იხ.:www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf) მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2013 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
III. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი;
IV. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
V. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
VI. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება;
VII. სტუდენტთა მობ
ილობის ხელშეწყობა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება;
VIII. პასუხი შემოსულ კორესპონდენციებზე;
IX. სხვა საქმიანობა.

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

2013 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა აკადემიური საბჭოს შემდეგი დადგენილებები:

- დადგენილება №139/2013 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება №131/2013 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2015 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა–კითხვარის დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება №122/2013 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №121/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №116/2013-„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №115/2013-„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №113/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება № 110/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №107/2013 -„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და ერთიანი სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 თებერვლის №29/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

- დადგენილება №100/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №91/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №90/2013 - „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №8/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №89/2013 - „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 18 თებერვლის №29/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №86/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №79/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №75/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №65/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №62/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №61/2013 - „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის“ პროგრამების დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება №55/2013 - „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის №249 დადგენილებაში ცვლილებებისა შეტანის შესახებ.
- დადგენილება №54/2013 - ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

- დადგენილება №51/2013 - „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და ერთიანი სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 თებერვლის №29/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №44/2013 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №41/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №37/2013 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №30/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №29/2013 - ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება №19/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №13/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- დადგენილება №8/2013 - ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება №7/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ .
- დადგენილება №3/2013 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების N103/2013 – 09.09.2013 - შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, თამარ ვეფხვაძე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი.

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების N198/2013 – 14.08.2013 - შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, ნატალია ბარათელი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი.

II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება

2013 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა შემდეგი დოკუმენტების სამუშაო ვერსიები:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება N104/2013-9.09.2013):
  სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „კინო-ტელე რეჟისორი“, „ტანსაცმლის დიზაინი“, „კბილის სატექნიკო საქმე“ და „მასაჟისტი“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არაფორმალური განათლების აღიარება. ამ მიზნით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა და თსუ აკადემიური საბჭოს (დადგენილება N104/2013, 09.09.2013) მიერ დამტკიცებული იქნა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 აგვისტოს N117/ნ ბრძანების თანახმად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია (კომისიის თავმჯდომარე თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიული კალატოზიშვილი). ზემოხსენებული კომისიის სახელზე შევიდა და მის მიერ განხილული იქნა 30 აპლიკანტის განცხადება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით.

- თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან ერთად მომზადდა და დამტკიცებულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი აქტები:
  რექტორის ბრძანებები:
  „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების მსურველთათვის გამოცდის ჩატარების პროცედურის განსაზღვრის შესახებ“, „გამოცდების საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ და
  „გამოცდის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესის განსაზღვრის თაობაზე“.
  ზემოხსენებული კომისიის მიერ მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების ტესტები და თსუ საგამოცდო ცენტრთან ერთად 2013 წლის 25 ოქტომბერს ორგანიზებული იქნა გამოცდა.
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესებისა და თსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის საფუძველზე თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი კომისია ამუშავებს 2009 წლამდე სამსახურის მიერ ნაწარმოებ მუდმივად შესანახი დოკუმენტაციას თსუ კანცელარიაში (არქივში) წარსადგენად.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია და გრძელდება აქტიური მუშაობა საქართველოს კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ“ სავალდებულო საუნივერსიტეტო ნორმატიულ დოკუმენტზე „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“;
- მიმდინარეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტუდენტთა გამოკითხვის, კოლეგების ურთიერთშეფასების (peer-review) კითხვარების გადამუშავება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ინიცირებული საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა მოამზადეს რეკომენდაციები, შენიშვნები და მოსაზრებები შემდეგი დოკუმენტების პროექტების და ამჟამად მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების ცვლილებათა პროექტების შესახებ:

1. ბრძანება №:12/01-01; 2010-02-05 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატსა და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისათვის აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. ბრძანება №:153/01-01 25.11.2013 სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის სტიპენდიის მინიჭების წესისა და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
3. ბრძანება №:152-01-01 25.11.2013 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო პედაგოგის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
4. ბრძანება №:140/01-01 08.11.2013 ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო-საგამომცემლო საბჭოს შექმნის შესახებ'' რექტორის 2013 წლის 16 ოქტომბრის №125/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
5. ბრძანება №:137/01-01 04.11.2013 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის უზრუნველსაყოფად გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ;
6. დებულების პროექტი სამეცნიერო ეთიკის შესახებ;
7. პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის პროექტი;
8. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად აპლიკანტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესახებ მოსაზრებები;
9. თსუ აკადემიური პერსონალის წლიური აქტივობის რაოდენობრივი განსაზღვრისა და შეფასების პრინციპების პროექტის შესახებ მოსაზრებები;
10. სასწავლო პროცესის მართვის ბაზისადმი წაყენებული მოთხოვნების შესახებ წინადადებები;
11. სასწავლო კურსისა და პედაგოგის შეფასების კითხვარის პროექტის შესახებ მოსაზრებები;მოსაზრებები ეროვნულ გამოცდებზე უნარების გამოცდაში ცვლილებების შესახებ;
12. თსუ საგამოცდო ცენტრის ფუნქციონირების შესახებ სარეკომენდაციო წინადადებები;
13. უმაღლესი განათლების რეფორმის პლატფორმის დოკუმენტების განხილვაში მონაწილეობა და სარეკომენდაციო წინადადებების მომზადება.

- მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი დოკუმენტების მომზადებაში:

1. სილეზიის უნივერსიტის მედიცინის ფაკულტეტთან (პოლონეთი) თანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობა
2. იასის უნივერსიტეტთან (რუმინეთი) ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობა
3. ტემპუსის პროექტის ფარგლებში ახალი სასწავლო კურსების დანერგვასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მომზადების განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა

4. GRDF 13 დეკემბერს გამართულ შეხვედრაში ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობის ორგანიზებაში მონაწილეობა
5. საერთაშორისო პროექტების მონიტორინგის ვიზიტის ორგანიზებაში მონაწილეობა
6. დამხმარე სახელმძღვანელოს ,,ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარება და განათლება'' მომზადება
7. სამედიცინო განათლების სფეროში სწავლების თანამედროვე სტრატეგიების შესახებ სახელმძღვანელოზე მუშაობა.

- 2013 წელს განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სასწავლო პროგრამების პროგრამების კატალოგისათვის ინფორმაციის შეგროვების პროცესი. კატალოგი მომზადებულ და განთავსებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისუნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.tsu.edu.ge/ge/study/catalogue/.

III. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, ახდენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების შიდა შეფასებას.
- 2013 წლის აგვისტოში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ტემპუსის პროექტის „მიგრაცია და უმაღლესი განათლების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის“ ფარგლებში, წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების მონაწილეობით შემუშავებული სამაგისტრო პროგრამის „მიგრაციის მართვა“ მონიტორინგი, შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.
- 2013 წლის ოქტომბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილულ იქნა და აკადემიურ საბჭოზე გასატანად მომზადდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ორი ახალი სასწავლო კურსის სილაბუსი („აკადემიური წერა (მაღალი დონე)“ და „აკადემიური წერა (საშუალო დონე)“).
- 2013 წლის 1 აგვისტოდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა და რეკომენდაცია გაუწია განსახორციელებლად უწყვეტი განათლების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: 1. „ელეტრონული ბიზნესი საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე“; 2. „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე).
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით მიმდინარეობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის, სახელმძღვანელოების მონიტორინგი.
- განხორციელდა „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამის შიდა მონიტორინგი.

- ამჟამად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარეობს გასული სემესტრის შეფასებების ანალიზი, ხარისხის სამსახური ამზადებს რეკომენდაციებს პროფესორებისთვის, ამ სასწავლო კურსებში შეფასების გასართულებლად.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა დოქტორანტურის სასწავლო კურსის „არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“ შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (IV საფეხური), სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (V საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (IV საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (V საფეხური) შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; აკრედიტაციისთვის თვითშეფასების კითხვარის მომზადება ტურიზმის განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსის ,,ბიზნესის ადმინისტრირება” შეფასება;

IV. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

- 2013 წლის 15 იანვარს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს: „ტემპუსის პროექტების შემუშავება“(ინგლისურ ენაზე). ინფორმაციას ტრენინგის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 22 იანვარს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს: „ტემპუსის პროექტების შემუშავება“(ქართულ ენაზე). ინფორმაციას ტრენინგის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 28-29 იანვარს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ორგანიზებულ დისკუსია-სემინარს: „ეროვნული დისკუსია სტუდენტთა კარიერული მომსახურების შესახებ“. ინფორმაციას დისკუსიის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

- 2013 წლის 7 თებერვალს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო ტემპუსის ეროვნული ოფისის მიერ ორგანიზებულ სემინარში: „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“. ინფორმაციას სემინარის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

- 2013 წ. 11-14 თებერვალს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელმა მაია შუხოშვილმა მონაწილეობა მიიღო ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „საერთაშორისობისა და ადვილად შედარებადობის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში“ ფარგლებში საფრანგეთში პარიზის საერთაშორისო განათლების ცენტრში გამართულ ტრენინგში „გარე დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობა; გამოკითხვის მექანიზმები და პროცედურები“. აღნიშნული ტრენინგის შემდეგ 2013 წლის მარტსა და აპრილში უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო კვლევაში, რომლის მიზანიც იყო გაერკვია, თუ რამდენად კარგად იცნობენ და როგორ აფასებენ დაინტერესებული პირები ავტორიზაციასა და აკრედიტაციას. 2013 წ. მარტსა და აპრილში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაწოდა 100 სტუდენტის, 40 პროფესორის, 30 დამსაქმებლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 21 თანამშრომლის მიერ შევსებული კითხვარები.
- 2013 წლის 27-28 თებერვალს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით აკრედიტაციის პროცესის შეფასების მიზნით გამართულ შეხვედრა-დისკუსიაში: „პროგრამული აკრედიტაციის პროცესის ანალიზი მისი შემდგომი დახვეწის მიზნით“.
- 2013 წლის 21-22 და 26-27 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი „ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამართულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების თვითშეფასების სემინარს. ინფორმაციას სემინარის მუშაობის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 18-19 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნატალია ბარათელი დაესწრო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამართულ სემინარს.
- 2013 წლის 20-23 მარტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნატალია ბარათელი დაესწრო ტემპუსის ერთობლივი პროექტის „DIMTEGU-მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ (N 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR) ფარგლებში გამართულ ტრენინგს „სილაბუსის შემუშავება და განვითარება“.
- 2013 წლის 8 აპრილს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და HR&IPR ასოციაციის მონაწილეობით გამართულ სამმხრივ სემინარში, რომელშიც დამსაქმებლები და პროფესიული

სასწავლებლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ინფორმაციას სემინარის მუშაობის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

- 2013 წლის 16 აპრილს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ სამუშაო შეხვედრაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდეგში უსდ) წარმომადგენლებთან უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს დაკომპლექტების წესის შესახებ. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს დაკომპლექტების პრინციპზე. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ცხრა წევრით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2013 წლის 29 აპრილს გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელსაც ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. განხილულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების პრინციპები და წესი.
- 2013 1-2 მაისს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ევროპის დღეებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში: „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "ევროპისმცოდნეობის" ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის" დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში". თამარ ვეფხვაძემ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: "სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურის მიმოხილვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად".
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო 2013 წლის 21 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ შეხვედრაში, რომელზეც განსახილველად წარდგენილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ეკონომიკის დარგის ქვედარგად „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის" კვალიფიკაციის დამატების საკითხი. საკითხი გადაწყდა დადებითად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო 2013 წლის 5 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ შეხვედრაში, რომელზეც განსახილველად წარდგენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში „მიგრაციის მართვის" კვალიფიკაციის დამატების საკითხი. საკითხი გადაწყდა დადებითად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მონაწილეობა მიიღო 2013 წლის 11 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ შეხვედრაში, რომელზეც განსახილველად

წარდგენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში „არქეოლოგიის“ კვალიფიკაციის ჰუმანიტარული მეცნიერებანის მიმართულებიდან, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობების მიმართულებაში გადატანის საკითხი. საკითხი გადაწყდა დადებითად.

- 2013 წლის ივნისში ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „საერთაშორისობისა და ადვილად შედარებადობის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში“ ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელმა მაია შუხოშვილმა მონაწილეობა მიიღო სასომხეთის ქ. ერევანში გამართულ საბჭოს შეხვედრას, რომელსაც დაევალა კონფერენციის ორგანიზება.
- 2013 წლის 24-25 ივნისს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებმა გიული კალატოზიშვილმა და მაია შუხოშვილმა მონაწილეობა მიიღეს ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „საერთაშორისობისა და ადვილად შედარებადობის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში“ ფარგლებში ჰოლანდიაში, როტერდამის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაში „აკრედიტაციის პროცედურები და უსდ-ების მზადება ამ პროცესისათვის“.
- 2013 წლის 10-13 ივლისს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებმა ნატალია ბარათელმა და თეა ზარნაძემ მონაწილეობა მიიღეს ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „საერთაშორისობისა და ადვილად შედარებადობის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში“ ფარგლებში ესპანეთში, ალიკანტეს უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაში „პროგრამების შემუშავება ბოლონიის სტანდარტების შესაბამისად“.
- 2013 წლის 19-22 ივლისს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნატალია ბარათელი დაესწრო სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის სემინარს „კვლევის განვითარების ხელშეწყობა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“. ნატალია ბარათელმა გააკეთა პრეზენტაცია თემაზე: „დოქტორანტურის სტანდარტი და თსუ-ს სადოქტორო პროგრამები“.
- ივანე ჯვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა - ნატალია ბარათელი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე), გიული კალატოზიშვილი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი), ნანა სიჭინავა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი), მაია შუხოშვილი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი) - მონაწილეობა მიიღეთ 2013 წ. 10-11 ოქტომბერს ქ. ერევანში ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „საერთაშორისობისა და ადვილად შედარებადობის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში“ ფარგლებში გამართულ კონფერენციაში. ინფორმაცია აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ იხ.: http://www.picqa.org/. 10 ოქტომბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის მაია შუხოშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის შედეგების იმპლემენტაციის შესახებ. იმავე დღეს თსუ ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი მაია შუხოშვილი წარმოდგენილი იყო პანელის წევრად სექციაზე: „როგორ შეიძლება დამსაქმებლები და სტუდენტები ჩაერთნენ აკრედიტაციის პროცესში“. 11 ოქტომბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის მაია შუხოშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია „როგორ შეიძლება თანამშრომლობის ქსელის შექმნა დაეხმაროს ხარისხის უზრუნველყოფას“. კონფერენციის ფარგლებში დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პროექტის პარტნიორ რეგიონულ და ევრპულ დაწესებულებებს შორის. ანგარიში კონფერენციის შესახებ ჩაბარებულია ბატონ დავით ჩომახიძესთან (ადმინისტრაციის უფროსი).

- 2013 წლის 15-16 ოქტომბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნატალია ბარათელი დაესწრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების ტრენინგს, რომელიც გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 15-თვიანი პროექტის ,,ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ (EuropeAid/132132/C/SER/GE) ფარგლებში. ტრენინგმა მონაწილეებს გააცნო „თვითშეფასების სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის“. ტრენინგის მასალებს გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.
- 2013 წლის 29 ოქტომბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა მაია შუხოშვილმა და გიული კალატოზიშვილმა მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციის „ღია საზოგადოება - საქართველო“ საქართველოში უმაღლესი განათლების მდგომარეობის შესახებ კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში. ინფორმაციას ფოკუს-ჯგუფის მუშაობის შესახებ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 7 ნოემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო ევროპის განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებით, პროექტის „უწყვეტი პროფესიული სწავლება აღმოსავლეთ ევროპაში“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრას თემაზე „არაფორმალური განათლების აღიარება“. შეხვედრის მასალებს გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 12 ნოემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნატალია ბარათელი დაესწრო პირველ ადგილობრივ კონფერენციას „განათლების სტანდარტებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ინტეგრაციის პრაქტიკული ასპექტები“. ნატალია ბარათელმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „განათლების სისტემების პრობლემები და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები“.
- 2013 წლის 13 ნოემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ნატალია ბარათელი და გიული კალატოზიშვილი დაესწრნენ GIZ-ისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტის WorldSkills Georgia-ს სამუშაო შეხვედრას.

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 21 ნოემბრის N147/01-01 ბრძანებით „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაცია 2014“ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრადაც დაინიშნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფარგლებში ჩატარდა 6 შეხვედრა - 2013 წლის 26 ნოემბერს, 2013 წლის 11 დეკემბერს, 13 დეკემბერს, 17 დეკემბერს, 20 დეკემბერს (შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შუალედური ანგარიში).
- 2013 წლის 21 ნოემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ნატალია ბარათელი და გიული კალატოზიშვილი დაესწრნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ IFQA და WYC დასკვნით კონფერენციას.
- 2013 წლის 12 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე დაესწრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და Microsoft-ის მიერ გამართულ უმაღლესი განათლების ლიდერთა ფორუმს: „ხარისხის განვითარება ინსტიტუციური ეფექტურობისთვის და ტექნოლოგიების როლი უმაღლეს განათლებაში“. ფორუმის მასალებს გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.
- 2013 წლის 20 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ნატალია ბარათელი და გიული კალატოზიშვილი დაესწრნენ საქართველოს განათლებისა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ხედვა“.
- 2013 წლის 23-25 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ნატალია ბარათელი და გიული კალატოზიშვილი დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პირველ ეროვნულ კონფერენციას „ზოგადი განათლება საქართველოში: ანალიზი და პერსპექტივები“.
- 2013 წლის 26-27 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი ნატალია ბარათელი იყო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ პროფესიული პროგრამების შესამუშავებლად ორგანიზებული სამუშაო ჯგუფის წევრი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET Foundation) ექსპერტების მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 18 ოქტომბერს ჩატარებულ სემინარში (თემა: „ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტები და მიღების პროცედურები“).
- შედგა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, თამარ ვეფხვაძის სამუშაო შეხვედრები:

- ტემპუსის პროექტის - **კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგში** (“Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training **(DOIT)**" კოორდინატორებთან, ქალბატონ რონდა სოფერთან (ისრაელი) და ქალბატონ ბელა პეტრიაშვილთან (თსუ) - აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადებულ 5 სასწავლო კურსთან დაკავშირებით (საქართველოს, ისრაელის და ევროკავშირის ქვეყნების (ინგლისი, ავსტრია, გერმანია, ჰოლანდია, ესტონეთი) მონაწილე უსდ და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მონაწილეობით მომზადდა სასწავლო კურსები საბაკალავრო/სამაგისტრო დონეზე წარსადგენად და პილოტირებისთვის, რომელთაგან პროექტში ასახული ვალდებულებებით, 4 კურსის პილოტირება სავალდებულოა თითოეულ მონაწილე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში). შეხვედრის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ ვეფხვაძემ სარეკომენდაციო წინადადებები მოამზადა აღნიშნული პროექტისთვის.
- სამუშაო შეხვედრა დევიდ ტომპსონთან (გამოყენებითი მეცნიერებების, კომპუტინგის, ინჟინერიის და საინჟინრო ტექნოლოგიების პროგრამული აკრედიტაციის სააგენტოს "აბეტ"-ის **ABET (**the **Accreditation Board for Engineering and Technology, Inc.)** ექსპერტი ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით - **„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსთან“ თანამშრომლობის ფარგლებში.** საქართველოში ABET Foundation-ის წარმომადგენლების ვიზიტის მიზანია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული და სამეცნიერო/ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლა და საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამების საერთაშორისო ABET-აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ ვეფხვაძემ სტუმარს გააცნო საქართველოში მოქმედი საგანმანათლებლო სტანდარტები და მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები.
- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაში (24-28 აგვისტო, 2013 წელი) მოხსენების მომხადება და წარდგენა პრაღაში.
- ნორვეგიის განათლების საერთაშორისო ცენტრის გრანტის ფარგლებში თსუ მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების (ნინო ჩიხლაძე და მაკა ჯორბენაძე) სამუშაო ვიზიტი (5-16 ნოემბერი, 2013 წელი) ტრომსოს უნივერსიტეტში (ტრომსო, ნორვეგია) ბიომედიცინასა და ჯანდაცვის მეცნიერებებში სადოქტორო პროგრამების ხარისხის სტანდარტებთან დაკავშირებით.
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ევროპის რეგიონის ექსპერტთა საკონსულტაციო შეხვედრაში (კოპენჰაგენი, დანია) თსუ მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნინო ჩიხლაძის მონაწილეობა (4-7 დეკემბერი, 2013 წელი) სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებასთან დაკავშირებით.

- ტემპუსის პროექტის ფარგლებში განახლებული სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის დისემინაციის მიზნით ვიდეო-რგოლის მომზადებაში (სცენარი, შეხვედრების და ჩაწერების ორგანიზება) მონაწილეობა.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის ტასილო შმიტის სემინარებზე მონაწილეობა (18-19 ნოემბერი, 2013 წელი).
- ტემპუსის პროექტის ფარგლებში მულტილინგვური განათლების სამაგისტრო პროგრამის მოსამზადებლად გაიმართა სამუშაო შეხვედრები პროექტის მონაწილე მხარეებთან. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისათვის დაგეგმილ რამდენიმე შეხვედრში, კერძოდ: 1) 2013 წლის თებერვალი - დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი; 2) 2013 წლის მარტი - თსუ; 3) 2013 წლის ივნისი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; 4) 2013 წლის უდეკემბერი - ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2013 წლის 21-23 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ ორგანიზებულ აკრედიტაციის ექსპერტების შესარჩევ კონკურსში გასაუბრების შემდგომ ეტაპზე გადასული მონაწილეებისათვის ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა.
- 2013 წლის 16 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური კვლევებისა და სწავლების ცენტრი OSF-HESP საგრანტო პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ინტერდისციპლინური ცენტრის სამუშაო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა.
- 2013 წლის 29 ნოემბერიდან 1 დეკემბრამდე თსუ ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარში ქ. ყვარელში მონაწილეობა მიიღეს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნატალია ბარათელმა, მედიცინის ფაკულტეტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა მაკა ჯორბენაძემ და ია ნაცვლიშვილმა.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგ-სემინარებში - „კვლევების მიმართულების და მართვის გაძლიერება უნივერსიტეტში“ *(Strengthening the Research Function and Management Capacity*). უძღვებოდნენ აშშ რატგერსის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამების გრანტების ფასილიტატორი ჯოზეფ ბროდერიკი (19 სექტემბერი) და საერთაშორისო ურთიერთობების დეკანი ჯოანა რეგულსკა (11 სექტემბერი) - ქ. თბილისი.

V. საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

2013 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში წარსადგენად მოამზადა შემდეგი დოკუმენტაცია:

- 2013 წლის 15 თებერვალს საგამოფენო ცენტრში „ექსპო-ჯორჯია“ მიმდინარე განათლების ფორუმისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ მოამზადა და წარადგინა პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ადმინისტრაციული და აკადემიური სტრუქტურული ერთეულების მუშაობისა და მიმდინარე საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ.
- 2013 წლის მაისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშები.
- 2013 წლის მაის-ივნისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშები.
- 2013 წლის ოქტომბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ სსიპ განათლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (N1699/01-01-03-06; 16.10.2013), ფინანსთა სამინისტროსა (N1700/01-01-03-06; 16.10.2013) და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში (N1701/01-01-03-06; 16.10.2013) გასაგზავნად მოამზადა უნივერსიტეტის მიერ მომზადებული წინადადებათა პაკეტი, რომელიც ეხება დოქტორანტურაში სწავლის სახელმწიფო დაფინანსებას.
- 2013 წლის ოქტომბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ სსიპ განათლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (N1778/01-01-03-06; 28.10.2013) და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში (N1779/01-01-03-06; 28.10.2013) გასაგზავნად მოამზადა საინიციატივო წერილი, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულისათვის მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების საჭიროებასა და ბაკალავრიატში პედაგოგიკის სწავლების აუცილებლობას.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, თამარ ვეფხვაძის თავმჯდომარეობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 19 მარტის №91 ბრძანების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის

შემოწმების მიზნით - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში - 2013 წლის 21 - 23 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დასკვნები.

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, თამარ ვეფხვაძის თავმჯდომარეობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 11 სექტემბრის №288 ბრძანების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში - 2013 წლის 16 - 18 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დასკვნა.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონი მირიანე ოდიშარიას 2013 წლის 22 იანვრის №03/7 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თამარ ვეფხვაძე დაინიშნა სახელოვნებო უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოწესრიგებაზე მომუშავე ჯგუფის წევრად.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის, ნატალია ბარათელის წევრობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ოქტომბრის №348 ბრძანების საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო ვიზიტი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში. ჯგუფის წევრთა მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დასკვნა.

VI. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

2013 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების კრედიტები უღიარა 80 სტუდენტს, რომლებიც სწავლობდნენ აშშ და ევროპის შემდეგ უნივერსიტეტებში: მიდელბერგის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), პარიზი 1, სორბონა (საფრანგეთი), მერზებურგის უმაღლესი სკოლა, ჰამბურგის, როსტოკის,

იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის, ზაარლანდის უნივერსიტეტები (გერმანია), დასავლეთ ლონდონის ბიზნეს-კოლეჯი (ინგლისი), ორეგონის უნივერსიტეტი (აშშ), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია) და ა. შ.

VII. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

2013 წელს მობილობის ფარგლებში ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და წევრები მონაწილეობდნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში.

VIII. პასუხი კორესპონდენციებზე

2013 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შევიდა 913, ხოლო გავიდა 895 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.

IX. სხვა საქმიანობა

იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არსებული კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ურთიერთობის ოფისის მუშაობის შესახებ:

ა) ინფორმაციის მოძიება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ:

ოფისიდან სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაიგზავნა 16 წერილი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული თსუ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულების შესახებ. აქედან მიღებულ იქნა პასუხები შემდეგი 15 დაწესებულებიდან:

1) *სახალხო დამცველის აპარატი;*

2) *თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური;*

3) *საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტი;*

4) *საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი _ საქპატენტი;*

5) *ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;*

6) *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;*

7) *ნოტარიუსთა პალატა;*

8) *საქართველოს პროკურატურა;*

9) *საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო _ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შესახებ;*

10) *სსიპ _ აღსრულების ეროვნული ბიურო;*

11) *განათლების ხარისხია განვითარების ეროვნული ცენტრი;*

12) *ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;*

13) *სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური;*

14) *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;*

15) *სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.*

პასუხები მისღებია *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ოფისმა კონსულტაციები დაიწყო კერძო სექტორთან – ბანკებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

ბ) ამასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია თსუ ვებ გვერდზე ოფისის სპეციალური გვერდის ამოქმედება, რომლის პროექტი უკვე არსებობს (http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/law/alumni/home/). აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მოხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა.

გ) დამამთავრებელ კურსებზე მყოფი სტუდენტებისა და მაგისტრანტების დამსაქმებლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა, დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ორგანიზებაში მონაწილეობა.